განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სამაგისტრო პროგრამა "ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი"

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 04.06.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი 01.07.2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი |
| განათლების საფეხური | უმაღლესი განათლების II საფეხური. მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი 0405 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული N110, 19.04.2012 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | შალვა კვირკველია, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვალერიან გობრონიძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი" შეიქმნა 2010 წელს პროექტის ფარგლებში, რომელიც ძთვალისწინებდა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის შემუშავებასა და რეალიზაციას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტში. პროექტი მხარდაჭერილი და დაფინანსებული იყო USAID-ის ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროგრამის ECI მიერ.

2012 წლის 19 აპრილის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N110 გადაწყვეტილებით აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის მიერ.

სამაგისტრო პროგრამა „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი" მიზნად ისახავს ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიან ბაზარზე ორიენტებული, საინჟინრო-ტექნიკური ცოდნითა და მენეჯერული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადებას.

პროგრამების აკრედიტაციის პირობების შემოწმება განხორციელდა მონიტორინგის პირობებში. მონიტორინგის განხორციელებისათვის პროგრამა შეირჩა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული კრიტერიუმის მიხედვით: სწავლის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილი იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწა-განვითარება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2012 წლის 19 აპრილის N4 ოქმში მოცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. ოქმის თანახმად „სწავლის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწა-განვითარება". ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და ასევე, ადგილზე შეამოწმა პროგრამისთვის აუცილებელი ლაბორატორიული აღჭურვილობა. გარდა ექსპერტთა დასკვნაში/ოქმში ასახული ინფორმაციისა/რეკომენდაციისა, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა წარმოდგენილი პროგრამის, რესურსების შესახებ ინფორმაციის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტის ფარგლებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 4 ივნისს. ვიზიტამდე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ვალერიან გობრონიძე, შალვა კვირკველია). შეხვედრაზე განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის

სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 4 ივნისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დაწესებულების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), პროგრამის ცვლილებებთან მომუშავე ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის რეკომენდაციის მიხედვით შეძენილ ლაბორატორიულ კომპლექტებზე და მატერიალურ ტექნიკური ბაზაზე. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ვიზიტის ფარგლებში შეფასდა სამი სტანდარტი. პირველი, მეორე და მეოთხე. პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასებულია, როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან ხოლო მეორე სტანდარტი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტის, კერძოდ მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების რეკომენდაცია შესრულებულია და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

- რეკომენდაციები

სილაბუსებში დაემატოს ახალი გამოცემის ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა, ან აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული და შეთავაზებული იქნას ალტერნატიული წყაროები (რიდერები).

პროგრამაში გამოყენებული ტერმინოლოგია სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- მატერიალ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებულია და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამის მიზანია საინჟინრო-ტექნიკური ცოდნითა და მენეჯერული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი სპეციალისტის მომზადება.<br>გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.<br>პროგრამის მიერ მომზადებული კადრები დასაქმებული არიან ადგილობრივ ენერგო ობიექტებზე.<br>პროგრამის განმხორციელებლები ელოდებიან ქალაქ ქუთაისში ახალი საწარმოების: ავტომობილების ელ. ქარხნის და მზის პანელების ამუშავებას სადაც ასევე იქნება მოთხოვნა მათ მიერ მომზადებულ სპეციალისტებზე.<br>საინტერესოა პროგრამის ინტერდისციპლინარული ორგანიზება. პროგრამა გარდა ტექნიკური და მენეჯერული კურსებისა მოიცავს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი საკითხების ფართო სპექტრს. სტუდენტები შეისწავლიან მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენების შესაძლებლობებს ენერგეტიკის მართვის სფეროში. ინტერდისციპლინარული მიდგომით ხდება საერთო სასწავლო რესურსის გადანაწილება კომპეტენციების გამომუშავების თვალსაზრისით და კადრის მომზადება მენეჯერული უნარებით და დარგის ცოდნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ http://www.atsu.edu.ge;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი“;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია როგორც ქვეყნის ენერგეტიკის დარგის საჭიროებებიდან, ისე შესაბამისს ბაზრებზე არსებული ძირითადი კომპანიების მოთხოვნებისა და პრობლემების გათვალისწინებით.

პროგრამის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო როგორც საერთაშორისო ექსპერტებთან, ისე ადგილობრივ პროფესიონალებთან შეხვედრებსა და

განხილვებს.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით და აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

- პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან პოზიციებზე, სადაც მოითხოვება პროგრამის შედაგად განსაზღვრული კომპეტენციები.

პროგრამის შედეგები მკაფიოდ არის გამოკვეთილი და გამიჯნულია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების სახით.

**ზოგადი:** აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს

ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

**დარგობრივი**:

გააჩნია ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიური პროცესის (ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა, განაწილება) სპეციფიური ცოდნა და შეუძლია ამ ცოდნის საფუძველზე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება .

გაცნობირებული აქვს ელექტროენერგეტიკული მრეწველობის როლი და ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში.

შეცნობილი აქვს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტის არსი და მისი სოციალური მნიშვნელობა,

გააჩნია მართვაში მათემატიკური მეთოდების და მოდელების გამოყენების ცოდნა.

შეუძლია ელექტროენერგეტიკის სფეროსთვის დამახასიათებელი მმართველობითი ამოცანების ფორმულირება და გადაჭრა რესურსების ოპტიმალური გამოყენებით.

შეუძლია მათემატიკური მეთოდების გამოყენება მმართველობით საქმიანობაში.

შეუძლია სისტემურად გაანალიზოს ელექტროენერგეტიკის სფეროს მენეჯმენტში არსებული ზოგადი ტენდენციები და კონკრეტული სიტუაციები.

გააჩნია მმართველობითი უნარ-ჩვევები, ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს თანამშრომლების საქმიანობას.

შეუძლია პროექტების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი.

შეუძლია მონიტორინგი და კონტროლი გაუწიოს სხვა პროექტების განხორციელებას, გააკეთოს დასკვნები და მისცეს რეკომენდაციები.

შეუძლია გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ანალიზი, დასკვნების გაკეთება და ანგარიშების შემუშავება წერილობით და ზეპირად გადმოცემა.

შეუძლია ეფექტური პრეზენტაციების გაკეთება საოფისე პროგრამებისა და ტექნიკის გამოყენებითკრიტიკულად

აფასებს საკუთარ პროფესიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს და შესწევს უნარი

ოპტიმალურად დაგეგმოს სწავლების პროცესი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

შესწევს უნარი შეაფასოს თანამშრომლების პროფესიული ცოდნის საჭიროებები და მისცეს რჩევები ამ ცოდნის სრულყოფისათვის ან თავად გაუწიოს კონსულტაციები პროფესიულ საკითხებზე.

გააჩნია საკმარისი ცოდნა გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- აწსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი www.atsu.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი და საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება. ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში.<br><br>სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წესები და თავად პროგრამა, ისე როგორც უნივერსიტეტის სხვა პროგრამაზე დაშვების წესები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით: www.atsu.edu.ge; შესაბამისი ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე; პროგრამაზე მიღების წესისა და პირობების შესახებ რექტორის მიერ გამოიცემა ნორმატიული აქტი, რომელიც იტვირთება ვებ გვერდზე. ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების შესახებ ვრცელდება სოციალური ქსელით; ასევე ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მსურველებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამა<br><br>○ აწსუ-სვებ გვერდი www.atsu.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამის სტრუქტურა აგებულია ცალკეული სასწავლო კურსების ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით და ლოგიკურადაა აგებული.<br>იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა არის ინტერდისციპლინარული და მასზე სწავლა შეუძლიათ სხვადასხვა მიმართულებების კურსდამთავრებულებს, პროგრამა მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ისეთი ტექნიკური საგნების შესწავლაზე. როგორიცაა: ელექტროტექნიკა (5 კრედიტი), ელექტროენერგიის წარმოება (თბოენერგეტიკა– 5 კრედიტი და ჰიდროენერგეტიკა – 5 კრედიტი), ელექტროენერგიის გადაცემა–განაწილება (5 კრედიტი), რაც საფუძველს იძლევა მასზე აგებული კურსების ასათვისებლად. სულ ტექნიკურ საგნებს დათმობილი აქვს 40 კრედიტი (კრედიტების 33%), ხოლო ეკონომიკურ და მენეჯერულ საგნებს – 25 კრედიტი ( კრედიტების 20%)<br><br>○ საგნები და თემატიკა ვიწროსპეციალიზაციის პრინციპითაა აგებული და შეესაბამება სამაგისტრო დონეს.<br>○ სილაბუსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელსაც ეთმობა საკმარისი რაოდენობის საათები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.<br>○ ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სამაგისტრო ნაშრომები. ნაშრომების თემატიკა იყო აქტუალური და ნაშრომები შეესაბამებოდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დონეს. ისინი შეფასდა დადებითად.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამა „ელექტროენერგეტიკული მრწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი“ (სასწავლო გეგმა).<br>○ ინტევიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის სასწავლო კურსები ერთობლივად ფარავს პროგრამის სწავლის შედეგების ზოგად და დარგობრივ ნაწილს და მოიცავს ყველა კომპეტენციას.
- სილაბუსებში ფიქსირდება მცირე ტექნიკური ხასიათის ხარვეზები.
- ზოგიერთი სილაბუსის ძირითადი ლიტერატურა მოძველებულია.
- მითითებული ლიტერატურა მოიპოვება უნივერსიტეტში და სტუდენტებს აქვთ თავისუფალი წვდომა.
- სასწავლო კურსები ძირითადად 5 კრედიტიანია, თუმცა მათი გადანაწილება რელევანტურია და შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და მოცულობას.
-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

სილაბუსებში დაემატოს ახალი გამოცემის ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა, ან აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული და შეთავაზებული იქნას ალტერნატიული წყაროები (რიდერები)

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ ფაკულტეტის კვლევითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში. უნივერსიტეტი ყოველწლიურად მართავს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს, რომელთა მუშაობაში სხვა სტუდენტებთან ერთად მონაწილეობენ სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებიც.

პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ აწსუ-ში ბოლო წლებში ჩატარებულ სამეცნიერო პიკნიკებში/ზანაკებში, სადაც წარმოადგენენ საკუთარი თვალსაჩინო ნაკეთობებს, ასევე განმარტებებს აძლევენ მნახველებსა და სხვა

დაინტერესებულ პირებს.

პროგრამის სტუდენტები ხშირად ჩართული არიან საგანმანათლებლო და საინფორმაციო საქმიანობაში. კერძოდ, სტუდენტები, როგორც მოხალისეები ატარებენ შეხვედრებს ენერგოეფექტურობისა და, განახლებადი ენერგიის საკითხებზე როგორც სკოლების მოსწავლეებისათვის, ისე ახალგაზრდებისათვის .

- პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკის კომპონენტებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი მასალა
- ინტერნერ რესურსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამაში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია განსაზღვრულია პროგრამის მიზნების შესაბამისად, რაც ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების მისაღწევად.

კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ფორმებსა და მეთოდებს:

**სწავლების ფორმები:** ლექცია, ლაბორატორიული, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფში მუშაობა, სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა, სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა.

**სწავლების მეთოდები:** თეორიული მასალის გადაცემა, კითხვა–პასუხის სესია, დისკუსია, კვლევითი ჯგუფი, დებატი, საქმიანი თამაშები, ჯგუფური განხილვები და პრაქტიკული სიტუაციების გარჩევები, პროექტების შემუშავება.

**სწავლის მეთოდები:** სააუდიტორიო მუშაობა - ლექციაზე და პრაქტიკულ (ლაბორატორიულ) მეცადინეობაზე დასწრება, სალექციო მასალისა და საშინაო დავალების მომზადება, ბიბლიოთეკაში მუშაობა, სარეიტინგო შემოწმებისათვის მზადება, რეფერატის, ანგარიშის მომზადება, დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს, პროექტის ან მოხსენების პრეზენტაცია, კონფერენციებში მონაწილეობა.

- პროგრამაში მითითებული სწავლების ფორმები საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად წარმოადგენს სწავლა-სწავლების მეთოდებს.
- უნივერსიტეტში სტუდენტებსა და აკადემიერ პერსონალს შორის დამკვიდრებულია ურთიერთობის ინტერაქციული ფორმა.
- სწავლა-სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები შეესაბამება კურსის შინაარსს, სწავლის საფეხურს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- ხარისხის სამსახურის სისტემა

- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>პროგრამაში გამოყენებული ტერმინოლოგია სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
